# ხელშეკრულება №01-03-48
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 17 მარტი, 2011წ.

**შემსყიდველი** – სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის **გია მამულაშვილის** სახით
**მისამართი** – ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №52.
**საბანკო რეკვიზიტები** – სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, ანგ. №200122900
**საიდენტიფიკაციო კოდი** – 202374251

**მიმწოდებელი** – შპს „ორიენტ ლოჯიკი", წარმოდგენილი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით
**მისამართი** – ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. №8. ტელ.: 33-06-16.
**საბანკო რეკვიზიტები** – ს/ს საქართველოს ბანკი ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი 220101502 ანგარიში 360298 102005 13170000
**საიდენტიფიკაციო კოდი** – 202052054

ერთის მხრივ **შემსყიდველი**, და მეორეს მხრივ **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შემსყიდველმა 2011 წლის ასიგნებების ფარგლებში გააფორმა ხელშეკრულება მიმწოდებელთან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დანართში ასახული ტექნიკური აღწერილობის, 1 ცალი პორტატული კომპიუტერის (შემდგომში – საქონელი) შესყიდვის მიზნით, და მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს აღნიშნული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

1.2. ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **3500 (სამიათას ხუთას)** ლარი.
2.2. საქონლის ერთეულის ღირებულებაა 3500 (სამიათასხუთასი) ლარი:

2.3. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

## 3. ანგარიშსწორებისა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
3.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდგომ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების საფუძველზე.
3.3. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
3.4. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
3.5. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება შემსყიდველის ლოჯისტიკს ბ-ნ **გიორგი ფერაძეს.**

## 4. საქონლის მიწოდების ვადა

4.1. მიმწოდებელმა საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში, შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №52.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს უნაკლო საქონელი;

5.1.2. მიმწოდებლის ვალდებულება საქონლის მიწოდებაზე ითვლება შესრულებულად საქონლის მიწოდებისას შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ყველა შესაბამისი დოკუმენტი;

5.1.3. თუკი საქონელი არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი ან შეცვალოს იგი სხვა საქონლით საკუთარი ხარჯით.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

5.2.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს საქონლის ღირებულების დროული და სრული გადახდა.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

5.3.1. უნაკლო საქონლის მიღების შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

5.3.2. საქონლის მიღების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია შეამოწმოს იმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის შესაბამისობა ამ ხელშეკრულებით შეთანხმებულ პირობებთან;

5.3.3. აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.4.1. კონტროლი გაუწიოს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებას, რისთვისაც ადგენს ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებაზე პასუხისმგებელ პირს – შემსყიდველის ლოჯისტიკს ბ-ნ **გიორგი ფერაძეს;**

5.4.2. არ მიიღოს საქონელი თუ იგი უხარისხოა.

## 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 15 აპრილის ჩათვლით.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნება ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ.

8.2. ამ ხელშეკრულების 8.1. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შეძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

8.3. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

8..4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა ამ ხელშეკრულების 8.1., 8.2. და 8.3. პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა საქონლის ღირებულების ოდენობით.

9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება საქონლის ღირებულების 0,1 %-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია, გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო თანხის 0.1%-ის ოდენობით.

9.4. მხარეებს ყოველთვის აქვთ უფლება მოითხოვონ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობით, არაჯეროვანი შესრულებით ან ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

## 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:

9.2.1.ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია საქონლის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

9.2.2. მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

9.2.3. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

9.2.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. დავის გადაწყვეტა

სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

## 13. დასკვნითი დებულებები

13.1. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ორს იტოვებს შემსყიდველი.

შემსყიდველი

გია მამულაშვილი

მიმწოდებელი

გაგა ნასყიდაშვილი

დანართი ხელშეკრულებაზე №01-03-48

**HP EliteBook 8540p**

2011
Preferred Partner

p/n: XN715EA **Price:** $2 150.00 (VAT included)

| | |
|---|---|
| **Processor** | Intel Core i7-640M (2.80 GHz, 4 MB L3 cache) |
| **Chipset** | Mobile Intel QM57 Express |
| **Display** | 15,6" LED HD+ anti-glare 1600x900 |
| **WebCam** | 2 MP integrated webcam |
| **Memory** | 4Gb DDR3-1333 |
| **Graphics** | NVIDIA NVS 5100M graphics with 1 GB dedicated DDR3 video memory |
| **Audio** | High Definition Audio, Stereo Speakers, Dual Microphone |
| **Hard drive** | 320Gb 7200rpm |
| **Optical Drives** | 8x DVD+RW |
| **Communication** | 56K V92 modem, LAN (Ethernet 10/100/1000) |
| **Wireless** | Intel 802.11a/b/g/n I2, Bluetooth 2.1, Integrated HP un2420 EV-DO/HSDPA Mobile Broadband Module provides worldwide Gobi mobile Internet technology |
| **Ports** | 3 USB 2.0, 2 USB 3.0, eSATA port, VGA, mic in, line out, IEEE 1394a, AC power, RJ-11, RJ-45, DisplayPort, Secondary battery, docking |
| **Slots** | ExpressCard/54 slot; Smart card reader; Media Card Reader |
| **OS** | MS Windows 7 Professional |
| **Battery Type** | Li-ion battery 8 Cell |
| **Security Features** | HP Fingerprint Sensor |
| **Specialized Features** | HP Night Light |
| **Docking** | Yes |
| **Weight** | 2.9 kg |
| **Dimension** | 37,4 / 25 / 3.2 cm |
| **Warranty** | Three-year worldwide warranty |

შემსყიდველი

გია მამულაშვილი

მიმწოდებელი

გიგა ჩახვიძაშვილი

LEPL NATIONAL CENTRE FOR TEACHER PROFESSIONAL DEVELOPMENT 202374251

ORIENT LOGIC Ltd GEORGIA TBILISI RN 202052054